



Grant Thornton

An instinct for growth™

შპს გრანთ თორნთონ

SARAS-F-780146

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

მსს ფასს

ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია: 29 სექტემბერი 2024 წელი



შინაარსი

გვერდი

მმართველი პარტნიორის მიმართვა	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება	6
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	7
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	8
1 ზოგადი ინფორმაცია	
2 მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა	
3 განუსაზღვრელობის შეფასებისთვის გამოყენებული ძირითადი წყაროები	
4 ფულადი სახრები	
5 სავაჭრო მოთხოვნები	
6 ძირითადი საშუალებები	
7 მიღებული ავანსები	
8 სესხები	
9 ვალდებულებები ჩვეულებრივ იჯარაზე	
10 ტრანზაქციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	
11 შემდგომი მოვლენები	
12 კლიენტების კონცენტრაცია	

მმართველი პარტნიორის მიმართვა

პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი ჩვენთვის არის ჩვენი მომსახურების ხარისხი და აქედან მინდა დავიწყო. წელს უკვე მესამედ გავიარეთ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის (SARAS) ხარისხის კონტროლი და, რა თქმა უნდა, კვლავ ვართ სდპ აუდიტორები, კვლავ დადასტურდა ეს ავტორიზაცია ჩვენი ფირმისთვის და რაც მნიშვნელოვანი წარმატებაა, ჩვენს კიდევ ერთ აუდიტორს, გარიგების პარტნიორს, გვანცა შურდიას მიენიჭა სდპ-აუდიტორის სტატუსი და ახლა უკვე 2 სდპ-აუდიტორი პარტნიორი გვყავს ფირმაში. უკვე 2024 წლის სექტემბერში, სანამ ამ ანგარიშს მოვამზადებდით, ჩვენი კიდევ ერთი აუდიტის მენეჯერი - ბექა გოგოლაური გახდა რეგისტრირებული აუდიტორი და გარიგების პარტნიორი, რაც რა თქმა უნდა ზრდის ჩვენს შესაძლებლობებს და კიდევ უფრო მეტი აუდიტორული გარიგების შესრულების საშუალებას გვაძლევს.

ხარისხზე მუდმივ ზრუნვასთან ერთად ფირმის ზრდასაც ვაგრძელებთ. წელს მთლიანი შემოსავლები გაზარდეთ 4 მილიონიდან, რაც 2022 წელს გვქონდა, 5 მილიონ ლარამდე, რაც 25%-იანი ზრდაა და საკმაოდ შთამბეჭდავია.

ხოლო აუდიტიდან და მარწმუნებელი მომსახურებებიდან შემოსავალი 1.21 მილიონი ლარიდან 1.97 მილიონამდე გაზარდეთ, რაც ჩვენთვისაც კი წარმოუდგენელი თითქმის 60%-იანი ზრდაა.

ზრდა გვაქვს აგრეთვე ბიზნეს-საკონსულტაციო მიმართულებაშიც, როგორც შემოსავლების მხრივ, აგრეთვე განხორციელებული პროექტების მიმართულებების მხრივ, რაც მოიცავს, როგორც ბიზნესების შეფასებას, აგრეთვე აქტივების შეფასებას, მმართველობითი სისტემების შესწავლას, ანალიზს და ეფექტიანობის შეფასებას, ბანკებისთვის სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობის შეფასებას და სხვა ტიპის კონსალტინგს.

საგადასახადო კონსალტინგის მიმართულებაც გავაძლიერეთ და წელს რამოდენიმე კლიენტს გავუწიეთ ტრანსფერ ფრაისინგთან დაკავშირებული მომსახურებები. ეს თემა სულ უფრო აქტუალური ხდება და მინდა ბიზნესებმა, ჩვენმა არსებულმა თუ პოტენციურმა კლიენტებმა იცოდნენ, რომ ჩვენს კომპანიაში უკვე ძალიან კარგი პრაქტიკა და გამოცდილება გვაქვს ამ მხრივ და ნებისმიერ კომპანიას, ვისთვისაც ეს საერთაშორისო დაბეგვრის, ტრანსფერ ფრაისინგის თემა მნიშვნელოვანია, შეგვიძლია გავუწიოთ დადასტურებულად ხარისხიანი მომსახურება ამ მიმართულებით. ამის თქმის უფლებას ისიც მაძლევს, რომ წელს, ჩვენი ადგილობრივი ხარისხის მაკონტროლებლის გარდა, ჩვენმა საერთაშორისო ქსელმაც შეგვაძოწმა. შემოწმებამ მოიცვა არა მხოლოდ აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურებები, არამედ ფირმის სხვა მიმართულებებიც და საგადასახადო მიმართულებით შემოწმებაც ძალიან წარმატებით, შენიშვნების გარეშე დასრულდა, რაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩვენთვის.

ჩვენი მთავარი პრიორიტეტის - მომსახურების ხარისხისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია შესაფერისი გუნდის ყოლა, ჩვენი თანამშრომლები არიან ის ხალხი ვინც ქმნის ხარისხს. წელს ჩვენ კიდევ გაზარდეთ თანამშრომელთა რაოდენობა და ძალიან გვიხარია რომ ვახერხებთ ახალგაზრდა, ნიჭიერი, მონდომებული ადამიანებისთვის საინტერესო პროფესიული განვითარების შესაძლებლობის მიცემას. უკვე მეორე წელია, დამამთავრებელი კურსის სტუდენტებს ვაძლევთ შესაძლებლობას ჩვენთან გაიარონ სტაჟიორთა გადამზადება-დასაქმების პროგრამა - BootCamp-ი. პროგრამის ფარგლებში მონაწილეებს აქვთ უნიკალური შესაძლებლობა, მიიღონ ის თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, რაც მნიშვნელოვანია ჩვენს სფეროში წარმატებული სტარტისთვის. ბუღალტრული აღრიცხვა, აუდიტის საფუძვლები, გადასახადები, ბიზნეს-კომუნიკაცია, MS Excel - ეს იმ თემების არასრული ჩამონათვალია, რასაც სტუდენტები სწავლობენ პროგრამის განმავლობაში. საუკეთესო კურსდამთავრებულები ხდებიან ჩვენი გუნდის წევრები.



ვახტანგ ცაბაძე
მმართველი პარტნიორი



Grant Thornton

An instinct for growth™

ძალზედ მნიშვნელოვნად მიმაჩნია ფირმის თანამშრომელთა რაოდენობის ზრდისა და ფირმის მთლიანი სახელფასო დანახარჯების ზრდის მაჩვენებლების შედარება - თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა დაახლოებით 7%-ით გაზარდეთ (წლის ბოლოს 101 ადამიანი, საშუალოდ წლის მანძილზე 95) და ამავე დროს სახელფასო დანახარჯები (პარტნიორთა ხელფასების გარეშე) 25%-ით გაზარდეთ.

გავაგრძელებთ და გავაძლიერებთ მუშაობა საგანმანათლებლო მიმართულებით. მას შემდეგ რაც Grant Thornton აკადემიის ხელმძღვანელი გახდა ანა ნაჭყებია, აკადემიის აქტივობა საგრძნობლად გაიზარდა და დღეს მრავალფეროვან ტრენინგებს ვატარებთ როგორც ინდივიდუალური მსმენელებისთვის, ასევე კორპორატიული კლიენტებისთვის. Grant Thornton აკადემიის 20-მდე სხვადასხვა ტრენინგი მოიცავს როგორც პროფესიულ საკითხებს - ბუღალტერია, აუდიტი, გადასახადები, იურიდიული თემები, ასევე ე.წ სოფტ-სკილების კურსებს. 2023 წლის განმავლობაში Grant Thornton Academy-ში 50-ზე მეტი ტრენინგი ჩატარდა და 1,500-ზე მეტმა მონაწილემ გაიარა სხვადასხვა პროფესიული ტრენინგები.

2023 წელს გავაგრძელებთ მონაწილეობა ზოგადად პროფესიის განვითარებაში საქართველოში. ჩვენ ვმონაწილეობთ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის (ბაფ-ის) საქმიანობაში, გრანტ თორნტონი წარმოდგენილია ბაფ-ის ეთიკისა და დისციპლინარულ კომიტეტში, აგრეთვე ბაფ-ის სტანდარტების კომიტეტში. ვაგრძელებთ თანამშრომლობას SARAS-თან სტანდარტების და პროფესიული ლიტერატურის თარგმანის ექსპერტთა ჯგუფის ფორმატში. ჩვენი მიზანია მომავალში ასეთ საზოგადოებრივ საქმიანობებში კიდევ უფრო მეტი პროფესიონალი ჩაერთოს ჩვენი ფირმიდან.

მომავალ წელს რა თქმა უნდა კიდევ უფრო დიდი გეგმები გვაქვს და, დარწმუნებული ვარ, რომ გავაგრძელებთ ზრდას ყველა მიმართულებით და კიდევ უფრო კარგი სამუშაო ადგილი იქნება გრანტ თორნტონი ყველა ჩვენი თანამშრომლისთვის და კიდევ უფრო სასურველი პარტნიორი ვიქნებით ჩვენი არსებული თუ პოტენციური კლიენტებისთვის.

პატივისცემით,

ვახტანგ ცაბაძე

ფინანსური ანგარიშგება

(იხილეთ შემდეგი გვერდიდან)

შპს გრანტ თორნტონ

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში)

	შენიშვნა	30 დეკემბერი 2023	30 დეკემბერი 2022
ფულადი სახრები	4	67,292	50,471
სავაჭრო მოთხოვნები	5	675,356	831,920
გადახდილი ავანსები		9,033	76,788
სხვა მიმდინარე აქტივები		14	141
სულ მოკლევადიანი აქტივები		751,695	959,319
ძირითადი საშუალებები	6	225,262	219,887
არამატერიალური აქტივები		72,422	104,625
სულ მოკლევადიანი აქტივები		297,684	324,511
სულ აქტივები		1,049,379	1,283,831
მიღებული ავანსები	7	40,268	181,119
სავაჭრო ვალდებულებები		58,417	69,966
ვალდებულებები თანამშრომელთა წინაშე		99,033	20,213
გადასახდელი გადასახადები		77,061	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		274,779	271,298
გრძელვადიანი სესხები	8	32,733	34,233
გადასახდელი დივიდენდები		187,312	3,011
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		220,045	37,244
საწესდებო კაპიტალი		2,000	2,000
აკუმულირებული მოგება		552,555	973,288
სულ კაპიტალი		554,555	975,288
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		1,049,379	1,283,831

ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილია 2024 წლის 29 სექტემბერს:

ვახტანგ ცაბაძე
მმართველი პარტნიორი, დირექტორი



ნინო კილაძე
მთავარი ბუღალტერი

შპს გრანტ თორნტონ

სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

2023 წელი

(თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში)

	შენიშვნა	2023 წელი	2022 წელი
შემოსავლები			
შემოსავალი პროფესიული მომსახურებიდან		4,912,316	4,128,035
სულ შემოსავალი		4,912,316	4,128,035
ხარჯები			
პერსონალის ხარჯები		(3,444,646)	(2,822,170)
ოფისის იჯარა		(201,443)	(168,121)
სხვა ხარჯები		(1,100,901)	(694,425)
საოპერაციო ხარჯები ცვეთისა და პროცენტის გარდა		(4,746,990)	(3,684,715)
მოგება პროცენტამდე, გადასახადებამდე და ცვეთამდე (EBITDA)		165,326	443,319
ცვეთა და ამორტიზაცია		(91,471)	(85,558)
მოგება/(ზარალი) პროცენტამდე და გადასახადებამდე (EBIT)		73,855	357,762
საპროცენტო ხარჯები		-	-
საკურსო სხვაობები		4,860	(48,314)
სულ ფინანსური ხარჯები		4,860	(48,314)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადამდე		78,715	309,448
მოგების გადასახადი		(2,012)	(31,818)
წმინდა მოგება/(ზარალი)		76,702	277,629
დაგროვილი მოგება / (ზარალი) წლის დასაწყისში		973,288	861,304
დივიდენდები		(497,435)	(165,645)
დაგროვილი მოგება წლის ბოლოს		552,556	973,288

ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილია 2024 წლის 29 სექტემბერს:

ვახტანგ ცაბაძე
მმართველი პარტნიორი, დირექტორი



ნინო კილაძე
მთავარი ბუღალტერი

შპს გრანტ თორნტონ

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2023 წელი

შპს გრანტ თორნტონ

	2023 წელი	2022 წელი
საოპერაციო ფულადი ნაკადები		
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები	5,302,379	4,891,504
კლიენტებისგან მიღებული ფული მათი ხარჯების ანაზღაურებისთვის	37,931	438,472
გადახდილი პერსონალის ხარჯები	(2,616,689)	(2,262,702)
გადახდილი გადასახადები	(1,333,735)	(1,272,686)
გადახდილი ოფისის იჯარა	(237,703)	(198,383)
კლიენტების სახელით გადახდილი თანხები	(32,874)	(527,140)
სხვა გადახდები	(686,745)	(814,954)
წმინდა საოპერაციო ფულადი ნაკადები	432,564	254,111
საინვესტიციო ფულადი ნაკადები		
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივებისთვის	(109,290)	(166,489)
გადახდილი თანხები	-	-
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფული	-	-
შვილობილი კომპანიის გაყიდვიდან მიღებული თანხა	-	50,000
წმინდა საინვესტიციო ფულადი ნაკადები	(109,290)	(116,489)
საფინანსო ფულადი ნაკადები		
ბანკი სესხის დაფარვა	-	-
პროცენტის დაფარვა	-	-
დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხები	-	-
დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხების დაფარვა	(1,500)	(63,200)
დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხი	(23,500)	(10,000)
დაკავშირებული მხარის მიერ მისთვის მიცემული სესხის დაფარვა	-	7,000
დივიდენდების გადახდა	(264,157)	(163,545)
წმინდა საფინანსო ფულადი ნაკადები	(289,157)	(229,745)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა / (კლება)	34,117	(92,123)
ფულადი სახსრების საწყისი ნაშთი	50,471	164,031
საკურსო სხვაობის ეფექტი ფულად ნაშთებზე	(17,296)	(21,436)
ფულადი სახსრების საბოლოო ნაშთი	67,292	50,471

შპს გრანტ თორნტონ

ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
მსს ფასს
(თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში)

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1 ზოგადი ინფორმაცია

შპს გრანტ თორნტონ არის საქართველოში დაფუძნებული და რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანია დაფუძნებულია 2005 წელს. კომპანიის საქმიანობაა ფინანსური ანგარიშგებების აუდიტი, საბუღალტრო მომსახურებები, ბიზნეს კონსულტაციები და იურიდიული და საგადასახადო მხარდაჭერა.

კომპანია რეგისტრირებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურში, სარეგისტრაციო ნომრით SARAS-F-780146. კომპანიას მინიჭებული აქვს საზოგადოებრივი დაინტერესების პირთა (სდპ) ფინანსური ანგარიშგების აუდიტის უფლებამოსილება.

კომპანია არის მსოფლიოში ერთ-ერთი ლიდერი აუდიტორული ფირმების ქსელის Grant Thornton International-ის წევრი, რომელიც საჯარო და კერძო სექტორს აუდიტორულ, საბუღალტრო, იურიდიულ და ბიზნესის საკონსულტაციო მომსახურებს უწევს. Grant Thornton International-ის წევრი კომპანიები 140-ზე მეტ ქვეყანაში საქმიანობენ და 66,000 პროფესიონალზე მეტს აერთიანებენ.

საანგარიშგებო პერიოდში კომპანიის თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა შეადგენდა 95-ს (2022: 95).

კომპანიის პარტნიორები და მათი შესაბამისი წილები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

პარტნიორი	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
	%	%
AP0644645, , ემილ ვასილიან, სომხეთი	48.50	53.50
286.110.05543, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება გთ ფართენერს, სომხეთი, , , 10.11.2004	31.50	31.50
01017024435, ვახტანგი ცაბაძე	10.00	10.00
42001015195 პაატა შურღაია	10.00	5.00
სულ	100.00	100.00

2 მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1 წარდგენის საფუძვლები

კომპანია საქართველოში მოქმედი ბუღალტრული და საანგარიშგებო რეგულაციების მიხედვით წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს და ამავე რეგულაციებით მას მოეთხოვება ფინანსური ანგარიშგების მომზადება და წარდგენა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. აქედან გამომდინარე, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად და წარმოდგენილია ქართულ ლარებში.

2.2 ამონაგების აღიარება

ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. კომპანიის ამონაგები შედგება აუდიტორული და ბიზნეს-საკონსულტაციო მომსახურებებიდან, საბუღალტრო მომსახურებებიდან, იურიდიული და საგადასახადო კონსულტაციებიდან მიღებული შემოსავლებისაგან.

კომპანია შემოსავალს აღიარებს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ შემთხვევაში, როდესაც იზრდება აქტივის ზრდასთან ან ვალდებულების შემცირებასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი და ამგვარი ცვლილების სიდიდის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან გამოიქვითება ყველანაირი გაცემული სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე აღრე გადახდასა და მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის თანხა.

ამონაგებში არ გაითვალისწინება მესამე მხარის სახელით/სასარგებლოდ მიღებული თანხები, როგორიცაა, მაგალითად სახელმწიფოს სახელით ამოღებული დამატებითი ღირებულების გადასახადი. სააგენტო ურთიერთობებში, როდესაც კომპანია რწმუნებულის როლში გამოდის, ამონაგებში ჩაირთვება მხოლოდ საკომისიოს სახით მიღებული თანხები.

როდესაც შესაძლებელია მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება, კომპანია ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს (ე.წ. "პროცენტული შესრულების მეთოდით"). ხელშეკრულების შესრულების სტადია განისაზღვრება სამუშაოების დასრულების პროპორციულობის მეთოდით.

როდესაც მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია, კომპანია ამონაგებს აღიარებს მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში, თუკი ასეთი არის.

2.3 სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

2.4 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი დაითვლება მიმდინარე საკანონმდებლო მოთხოვნების მიხედვით.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახადის წარდგენას.

2017 წლის ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახდით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა).

მოგების გადასახადი წარმოქმნილი დივიდენდების განაწილებიდან, აღიარდება ხარჯად იმ პერიოდში როდესაც გამოცხადდება დივიდენდები, ფაქტობრივად გადახდის დღის ან იმ პერიოდის მიუხედავად, რომლის მიხედვითაც ნაწილდება დივიდენდები. საგადასახადო განაკვეთი არის წმინდა განაწილებული ოდენობის 15/85.

საგადასახადო ვალდებულებისათვის შესაძლებელია მოგების გადასახადის ჩათვლა, 2017 წელს ან მოგვიანებით ნებისმიერი გამოცხადებული და გადახდილი დივიდენდისათვის, წინა მოდელის მიხედვით 2016 წლამდე დაგროვილი მოგებიდან.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბას 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 1 იანვრიდან.

2.5 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც:

- (ა) იმყოფება საწარმოს განკარგულებაში და გამოიყენება საქონლის წარმოებაში, საქონლის ან მომსახურების მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის; და
- (ბ) გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად.

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

კომპიუტერული ტექნიკა	5 წელი
ავტო და ოფისის კეთილმოწყობა	7 წელი
ავტომობილები	7 წელი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

2.6 არამატერიალურ აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, რომელიც ხუთ წელს შეადგენს. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ამორტიზაცია შესწორდება პერსპექტიულად.

2.7 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

კომპანია არ ახდენს მარაგების გაუფასურების ანალიზს, რადგან ჩვენი საქმიანობის სფეროდან და შინაარსიდან გამომდინარე არც რაიმე მარაგის რეალიზებას ვახდენთ და მარაგების ნაშთიც ყოველთვის ძალიან უმნიშვნელო თანხაა. თუკი, რომელიმე მოამზად პერიოდში მარაგები არსებითი თანხით იქნება წარმოდგენილი, კომპანია მოახდენს მათი გაუფასურების ანალიზს მსს ფასს-ის შესაბამისი განყოფილების მოთხოვნების მიხედვით.

2.8 იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად. კომპანიას არ აქვს ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

2.9 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

კომპანიის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შედგება საკანცელარიო მასალებისა და ოფისის მოვლისთვის საჭირო სახარჯი მასალებისაგან, რომელთა აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით.

2.10 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ფასდება გარიგების ფასით, გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. საანგარიშგეო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო მოთხოვნები გადაანგარიშდება ლარში, საანგარიშგეო თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგეო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

2.11 გადახდილი ან მიღებული ავანსები

გადახდილი და მიღებული ავანსები აღიარდება გადახდილი/მიღებული თანხის ოდენობით გადახდის/მიღების მომენტში. ავანსების გადაფასება არ ხდება სავალუტო კურსის მიხედვით და რჩება შეფასებული ისტორიული ღირებულებით.

გადახდილი ავანსების გაუფასურებაზე ტესტირება ხდება ყოველი საანგარიშგეო პერიოდის ბოლოს და თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ გადახდილი ავანსის შესაბამისი საქონელს ან მომსახურებას კომპანია ვერ მიიღებს და თანხის უკან დაბრუნებაც შეუძლებელი იქნება, მაშინ გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

2.12 ფული

ფული მოიცავს ფულად სახსრებს სალაროში და საბანკო ანგარიშებზე. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი ნაშთები გადაანგარიშდება ლარში, საანგარიშგებო თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

2.13 სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება ლარში, საანგარიშგებო თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

2.14 ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

2.15 დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებულ მომუშავეთა მოკლევადიანი გასამრჯელოების (მათ შორის ბონუსების) დანახარჯებად აღიარება ხდება იმ პერიოდში როდესაც თანამშრომლების მომსახურებას გასწევს.

კომპანიას არ აქვს რაიმე გრძელვადიანი გასამრჯელოების პროგრამები დაქირავებულთათვის და არ ახორციელებს წილობრივ გადახდებს.

3 განუსაზღვრელობის შეფასებისთვის გამოყენებული ძირითადი წყაროები

საექვო ვალების რეზერვის შეფასება

საექვო ვალების რეზერვის შეფასება ხორციელდება თითოეული კლიენტის მიხედვით, იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით რაც მენეჯმენტს გააჩნია ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის. კომპანიის მენეჯმენტი და თითოეული დეპარტამენტის ხელმძღვანელი რეგულარულად ახორციელებს მოთხოვნების ხანდაზმულობის და თითოეული კლიენტის ფინანსური მდგომარეობის ანალიზს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ შექმნილი რეზერვები სამართლიანად ასახავს მოთხოვნების შესაძლო გაუფასურებას, თუმცა რეალური შედეგები მომავალში შესაძლოა განსხვავებული იყოს მენეჯმენტის მოლოდინებისაგან.

შემოსავლების აღიარება

როგორც სააღრიცხვო პოლიტიკაში აღწერილი კომპანია მსს ფასს-ის შესაბამისად ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ე.წ. "პროცენტული შესრულების მეთოდით". პროცენტული შესრულების მეთოდი ძირითადად მნიშვნელოვანია აუდიტისა და ბიზნეს-საკონსულტაციო პროექტებისათვის, რომლებიც შედარებით ხანგრძლივადიანია. პროექტების დასრულების სტადია ფასდება კონკრეტული პროექტის შინაარსის/მასშტაბის (scope), შესასრულებელი სამუშაოების მოცულობის და შეთანხმებული/დაგეგმილი გრაფიკების მიხედვით, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს პროექტის მდგომარეობის გათვალისწინებით. მენეჯმენტი ინფორმაციას თითოეულ პროექტზე იღებს კონკრეტული პროექტის მენეჯერისა და შესაბამისი სერვის-ლაინის ხელმძღვანელისაგან (მათ შორის, სადაც რელევანტურია, თაიმშიტების ანალიზით). მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ პროექტების დასრულების სტადიის ჩვენი შეფასებები საანგარიშგებო პერიოდისათვის სამართლიანი და შესაფერისია.

შპს გრანტ თორნტონ

ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
მსს ფასს
(თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში)

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

4 ფულადი სახრები	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ლარები სალაროში	3	3
ლარები საბანკო ანგარიშებზე	31,360	9,686
დოლარები საბანკო ანგარიშებზე	17,643	30,184
ევრო საბანკო ანგარიშებზე	18,287	10,598
წმინდა სავაჭრო მოთხოვნები	67,292	50,471

5 სავაჭრო მოთხოვნები	შენიშვნა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
მთლიანი სავაჭრო მოთხოვნები		675,356	941,951
მინუს: საექვო მოთხოვნების რეზერვი	5.1	-	(110,032)
წმინდა სავაჭრო მოთხოვნები		675,356	831,920

5.1 საექვო მოთხოვნების რეზერვი	2023 წელი	2022 წელი
საწყისი ნაშთი, 1 იანვარი	110,032	174,426
პლუს:		
პერიოდში საექვო ვალად აღიარებული მოთხოვნები	53,808	-
მინუს:		
პერიოდში საექვო ვალებიდან უიმედოდ ცნობილი და ჩამოწერილი	(163,839)	(61,646)
პერიოდში საექვო ვალებიდან ამოღებული (აღდგენილი) მოთხოვნები		(2,748)
საბოლოო ნაშთი, 31 დეკემბერი	-	110,032

პერიოდის განმავლობაში საექვო ვალების რეზერვის თანხა მთლიანად განულდა იმის ხარჯზე, რომ გარკვეული ძველი დებიტორები, აღიარებული იქნა უიმედოდ და სრულად ჩამოიწერა.

6 ძირითადი საშუალებები

	კომპიუტერები და საოფისე ტექნიკა	ავეჯი და ოფისის კეთილმოწყობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
თვითღირებულება				
31 დეკემბერი 2021	302,269	150,442	43,644	496,355
შეძენები	66,961	27,857	-	94,818
გაყიდვა/ჩამოწერა	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	369,230	178,299	43,644	591,173
შეძენები	66,161	4,032	-	70,193
გაყიდვა/ჩამოწერა	(927)	(1,293)	-	(2,220)
31 დეკემბერი 2023	434,464	181,037	43,644	659,146
აკუმულირებული ცვთა				
31 დეკემბერი 2021	(241,117)	(56,610)	(18,692)	(316,419)
პერიოდის ხარჯი	(37,537)	(7,304)	(10,026)	(54,867)
ელიმინაცია გსავლაზე	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	(278,655)	(63,914)	(28,717)	(371,286)
პერიოდის ხარჯი	(46,232)	(9,191)	(9,394)	(64,817)
ელიმინაცია გსავლაზე	927	1,293	-	2,219
31 დეკემბერი 2023	(323,960)	(71,813)	(38,111)	(433,884)
საბალანსო ღირებულება				
31 დეკემბერი 2022	90,576	114,384	14,927	219,887
31 დეკემბერი 2023	110,505	109,224	5,533	225,262

7 მიღებული ავანსები

მიღებული ავანსები წარმოადგენს კლიენტების მიერ წინასწარ გადახდილ თანხებს, მათ შორის 2023 წლის აუდიტებისთვის, თუმცა მიღებული ავანსები სხვა სერვისებისთვის მიღებულ ავანსებსაც მოიცავს. ყველა მიღებული ავანსი მოკლევადიანია და შესაბამისი მომსახურებები 2024 წლის განმავლობაში დასრულდა, ან დასრულდება.

8 სესხები

31 დეკემბერი 2023 31 დეკემბერი 2022

ლარში დენომინირებული სესხი ბანკისგან	-	-
დოლარში დენომინირებული სესხი ბანკისგან	-	-
არაუზრუნველყოფილი ლარში დენომინირებული სესხები სხვა კომპანიებისგან	32,733	34,233
სულ სესხები	32,733	34,233

სხვა კომპანიებისგან მიღებული ლარში დენომინირებულ სესხების დაფარვის ვადაა 2023 წლის დეკემბერი და მათზე საპროცენტო განაკვეთი არის 15%.

9 ვალდებულებები ჩვეულებრივ იჯარაზე

კომპანიას იჯარით აქვს აღებული ოფისი. იჯარის ხელშეკრულების ვადაა 2024 წლის ბოლომდე. წლის ბოლოს შეუქცევადი ჩვეულებრივი იჯარის სამომავლო დასაფარი თანხა, რაც იჯარის ეხლანდელი მოქმედი ხელშეკრულების მიხედვით მთლიანად 2024 წელს კუთვნის (ანუ, ერთი წლის მანძილზე დასაფარი თანხა) 211,424 ლარს შეადგენს (რადგან ვალდებულება უცხოურ ვალუტაში მომავალი ვალდებულებების თანხა ლარში დათვლილია შესაბამისი წლის ბოლოს ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით).

10 ტრანზაქციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენენ მისი მფლობელები და მენეჯმენტი.

წლის განმავლობაში მმართველი გუნდისთვის (5 ადამიანი) გაცემულმა ანაზღაურებამ ხელფასებისა და ბონუსების სახით (გროსი თანხა) შეადგინა 609,360 ლარი (2022: სულ 544,908 ლარი). გადახდილი დივიდენდები ნაჩვენებია ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში.

11 შემდგომი მოვლენები

ბალანსის თარიღის შემდეგ არ მომხდარა რაიმე ისეთი მოვლენები რაც გამოიწვევდა წარდგენილი თანხების ან ახსნა-განმარტებითი მასალის ცვლილების ან განახლების საჭიროებას.

12 კლიენტების კონცენტრაცია

კომპანიას არ ყავს არცერთი კლიენტი, რომლისგან მიღებული ინვდივიდუალური შემოსავალი აღემატებოდა კომპანიის მთლიანი შემოსავლის 10%-ს.